სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030669079064219

14 / ივნისი / 2019 წ. **თბილისი #06-118/ო**

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნებისშესახებ“საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5მუხლის მე–3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:
ა) ლალი ებანოიძე - ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი;
ბ)ხათუნა ფირანიშვილი - ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
გ) ანა პაპასკირი - ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს სპეციალისტი.
2. დაევალოს, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით მიაწოდონ დანართი #1-ის შესაბამისად ინფორმაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს დანართი #1-ში მითითებული განახლების ვადების გათვალისწინებით (შესაბამისი ცვლილებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ყოველკვარტლურად და ყოველწლიურად მითითებისას, შესაბამისი კვარტლის და წლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში).
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს “საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ” სსიპ - ლ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2014 წლის 14 თებერვლის #06-29/ო ბრძანება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ხელმოწერილია/ მტკიცდასმულია ელექტრონულად ამირან გამყრელიძე